**ხელშეკრულება №27სშ**
**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ**
**(გამარტივებული შესყიდვა)**
**(CPV-44512800; 44511000; 44512500; 44512800; 31224810; 44512200; 44511510; 44512920)**

ერთის მხრივ, **სსიპ-საქართველოს ეროვნული არქივი** (სკ-211358957), შემდგომში წოდებული „შემსყიდველად", წარმოდგენილი გენერალური დირექტორის, **თეონა იაშვილის** სახით და მეორეს მხრივ, **შპს „ელსადენი 2015"** (ს/კ-405071504), შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად", წარმოდგენილი მისი დირექტორის **ირაკლი საჯაიას** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, რა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-2 მუხლის ,,ა" პუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

**1.გამოყენებული ტერმინების განმარტებები**

**1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ"** (შემდგომში - "ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
**1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" -** საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
**1.3 „დღე", „კვირა", „თვე"** - კალენდარულ დღე, კვირა, თვე.
**1.4 „შემსყიდველი"** – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
**1.5 „მიმწოდებელი"** – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
**1.6 „საქონელი"** _ ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.
**1.7 „ინსპექტირება"** – ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

**2. ხელშეკრულების საგანი**
**სხვადასხვა სახის სამეურნეო საქონლის სახელმწიფო შესყიდვა დანართი №1-ის შესაბამისად.**
**(CPV-44512800; 44511000; 44512500; 44512800; 31224810; 44512200; 44511510; 44512920)**

**3. ხელშეკრულების ღირებულება**

**3.1** ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს- **3'527.50 (სამი ათას ხუთას ოცდაშვიდი ლარი და 50 თეთრი) ლარს დღგ-ს გათვალისწინებით.**
**3.2** ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.
**3.3** ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
**3.4** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში ფასის ცვლილება დასაშვებია არაუმეტეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ით.

**4. მხარეთა ვალდებულებები**

**4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:**
ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება დანართი №1-ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;
ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე, უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება.
გ) ხელი შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების განხორციელებისას;
დ) უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების განხორციელება.
**4.2 შემსყიდველი ვალდებულია:**
ა) უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ინსპექტირება და დადებითი შეფასების შემთხვევაში მისი მიღება;
ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

**5. მიწოდებული საქონლის ხარისხი და გარანტია**

5.1 მიწოდებული საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულების 4.1 პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტში და დანართი №1-ში აღნიშნულ მაჩვენებლებს და წინასწარ წარმოდგენილი შესყიდვის ობიექტის ნიმუშის ხარისხს სრულად.
5.2 ხელშეკრულების №1 დანართის I და II პოზიციით განსაზღვრულ საქონელზე გარანტია ვრცელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1(ერთი) წლის განმავლობაში.

**6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

**6.1** შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.
**6.2** ინსპექტირებას განახორციელებს, **სსიპ-საქართველოს ეროვნული არქივის სამეურნეო სამსახურის უფროსი ზურაბ ენაგელი ან იმ დროისთვის მისი მოვალეობის შემსრულებელი.**

**6.3** შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნდებული საქონელი, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან დაუყოვნებლივ მაგრამ არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღეში გამოასწოროს წუნი.

## 7. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

**7.1** საქონლის მიღება იწარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელისმოწერით, ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულების 6.2 პუნქტით განსაზღვრული ინსპექტირების განმახორციელებელი პირის დადებითი ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე.

**7.2** აღნიშნული დოკუმენტაციის ხელმოწერამდე ყველა ქონებრივი უფლება საქონელზე ეკუთვნის მიმწოდებელს, რომელიც პასუხისმგებელია საქონლის შემთხვევით (მთლიანად ან ნაწილობრივ) დაღუპვაზე, განადგურებასა და რაიმე სახის ზიანზე. ხელმოწერის მომენტიდან აღნიშნული უფლებები და რისკები გადადის შემსყიდველზე.

## 8. ანგარიშსწორება

**8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:**

ა) ანგარიშსწორების ვალუტა _ ლარი;

ბ)ანგარიშსწორების ფორმა _ უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად;

**გ)დაფინანსების წყარო - 2022 წლის საკუთარი შემოსავლები;**

**8.2** შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და შემსყიდველის მხრიდან საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო ანგარიშფაქტურის დადასტურებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

**8.3** შემსყიდველი უფლებამოსილია, ხოლო მიმწოდებელი თანახმაა ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), გამოქვითოს ყოველი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიმწოდებელზე გადასარიცხი თანხიდან და გადარიცხოს მიმწოდებლის სახელით სახელმწიფო ხაზინის შესაბამის სახაზინო კოდზე.

## 9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

**9.1** თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

**9.2** იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

## 10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

**10.1** წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანართი №1-ით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადებისა და პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

**10.2** წინამდებარე ხელშეკრულების 6.3 ქვეპუნქტით განსაზღვრული ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე წუნდებული ნივთის ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

**10.3** წინამდებარე ხელშეკრულების 8.2 პუნქტით განსაზღვრული ვადის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს დააკისროს პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

**10.4** იმ შემთხვევაში, თუ დამრღვევ მხარეზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1(ერთი) %-ს, მეორე მხარე იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

**10.5** პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

**11.1** ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

**11.2** თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

## 12. დავების გადაწყვეტა

**12.1** ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

**12.2** თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია, მიმართოს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს დადგენილი წესის შესაბამისად.

## 13. ხელშეკრულების შეწყვეტა

**13.1** შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას მისთვის დამატებით განსაზღრულ ვადაშიც, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.
**13.2** ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.
**13.3** ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

## 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის თარიღიდან  და მოქმედებს 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ხოლო საგარანტიო პირობები ძალაში რჩება  5.2 პუნქტით განსაზღვრული ვადით.

## 15.ფორს-მაჟორი

**15.1** წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.
**15.2** ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საკუთარი შემოსავლების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
**15.3** მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან. ამასთან შემსყიდველი ვალდებულია ფორს–მაჟორული გარემოების დასრულებისთანავე განახორციელოს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება.

## 16.სხვა პირობები

ხელშეკრულება  შედგენილია ქართულ  ენაზე და ხელმოწერილია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების მოთხოვნის შესაბამისად.

## 17.მხარეთა რეკვიზიტები:

| შემსყიდველი | მიმწოდებელი |
|---|---|
| **სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი**<br>**მისამართი:** ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ. №1<br>**ტელეფონი:** 238-14-25<br>**საბანკო რეკვიზიტები**: **ბანკის კოდი** TRESGE22<br>**სახელმწიფო ხაზინა**<br>**ანგ.№** GE24NB0330100200165022<br>**ს/კ** - 211358957 | **შპს „ელსადენი 2015"**<br>**მისამართი:** ქ.თბილისი, აგლაძის ქ. ელიავას ბაზრ, აგრარული უბნის №20**; ტელ:** 599 55 37 29<br>**საბანკო რეკვიზიტები:** ბანკის კოდი:TBCBGE22 სს ,,თიბისი ბანკი''<br>**ანგ.№:** GE71TB7438036080100002<br>**ს/კ**-405071504 |
| _____ | _____ |

დანართი N1

| N | შესყიდვის ობიექტის დასახელება და ტექნიკური მახასიათებლები | ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის რაოდენობა და განზომილების ერთეული | შესყიდვის ობიექტის მწარმოებელი ქვეყნის და კომპანიის შესახებ ინფორმაცია | შესყიდვის ობიექტის ერთ. ფასი დღგ–ს ჩათვლით | შესყიდვის ობიექტის მთ. ფასი დღგ–ს ჩათვლით | CPV | შესყიდვის ობიექტის პირობები ვადა და ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ელ. ხრახნდამჭერი საცვლელი ელემენტით 18 ვატიანი<br>წინასწა წარმოდგენილი ნიმუშის შესაბამისი | 3 ცალი | **მწარმოებელი ქვეყანა:** ჩინეთი **კომპანია:** როდექსი | 270 | 810 | 44512800 | **მოწოდების ვადა:** ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღიდან 5(ხუთი) სამუშაო დღე. **მოწოდების ადგილი:** ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №1; სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივის ადმინისტრაციული შენობა |
| 2 | ელ. სახვრეტელა ჩაქუჩით 850 ვტ<br>წინასწა წარმოდგენილი ნიმუშის შესაბამისი | 2 ცალი | **მწარმოებელი ქვეყანა:** ჩინეთი **კომპანია:** ინგკო | 210 | 420 | 44511000 | |
| 3 | კუთხვილ სახეხი მოწყობილობა 115მმ. 750ვტ (ბარგალკა)<br>წინასწა წარმოდგენილი ნიმუშის შესაბამისი | 2 ცალი | **მწარმოებელი ქვეყანა:** ჩინეთი **კომპანია:** ინგკო | 180 | 360 | | |
| 4 | კუთხვილ სახეხი მოწყობილობა 230მმ. 2600ვტ (ბარგალკა)<br>წინასწა წარმოდგენილი ნიმუშის შესაბამისი | 1 ცალი | **მწარმოებელი ქვეყანა:** ჩინეთი **კომპანია:** როდექსი | 350 | 350 | | |
| 5 | ქანჩის გასაღები სათადარიგო პირებით 7ცალიანი (ტრეშოტკა)<br>წინასწა წარმოდგენილი ნიმუშის შესაბამისი | 3 ცალი | **მწარმოებელი ქვეყანა:** ჩინეთი **კომპანია:** ინგკო | 40 | 120 | 44512500 | |
| 6 | ექვსკუთხა სახრახნისის ნაკრები 8 ცალიანი<br>წინასწა წარმოდგენილი ნიმუშის შესაბამისი | 3 ცალი | **მწარმოებელი ქვეყანა:** ჩინეთი **კომპანია:** ინგკო | 35 | 105 | 44512800 | |
| 7 | ელ. დამაგრძელებელი 5 მეტრიანი 6 პორტიანი<br>წინასწა წარმოდგენილი ნიმუშის შესაბამისი | 30 ცალი | **მწარმოებელი ქვეყანა:** თურქეთი **კომპანია:** მაკელ | 24.5 | 735 | 31224810 | |
| 8 | ელ. დამაგრძელებელი 3 მეტრიანი 3 პორტიანი<br>წინასწა წარმოდგენილი ნიმუშის შესაბამისი | 30 ცალი | **მწარმოებელი ქვეყანა:** თურქეთი **კომპანია:** სონგ | 10 | 300 | | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | ბრტყელტუჩა<br>წინასწა წარმოდგენილი ნიმუშის შესაბამისი | 15 ცალი | **მწარმოებელი ქვეყანა:** ჩინეთი<br>**კომპანია:** მირა | 12.5 | 187.5 | 44512200 | |
| 10 | ლითონის საჭრელი ხელის ხერხის პირი<br>წინასწა წარმოდგენილი ნიმუშის შესაბამისი | 30 ცალი | **მწარმოებელი ქვეყანა:** ჩინეთი<br>**კომპანია:** ჩისი | 2 | 60 | 44511510 | |
| 11 | ბურღის პირის ნაკრები პაბედიტის<br>8 ცალიანი<br>წინასწა წარმოდგენილი ნიმუშის შესაბამისი | 2 ცალი | **მწარმოებელი ქვეყანა:** ჩინეთი<br>**კომპანია:** ორიენტი | 15 | 30 | 44512920 | |
| 12 | ბურღის პირის ნაკრები მეტალისთვის<br>9 ცალიანი<br>წინასწა წარმოდგენილი ნიმუშის შესაბამისი | 2 ცალი | **მწარმოებელი ქვეყანა:** ჩინეთი<br>**კომპანია:** ორიენტი | 25 | 50 | | |

**სულ თანხა დღგ-ის ჩათვლით: 3’527.50 (სამი ათას ხუთას ოცდაშვიდი ლარი და 50 თეთრი) ლარი.**

**შემსყიდველი**

**სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი**
**მისამართი:** ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ. №1
**ტელეფონი:** 238-14-25
**საბანკო რეკვიზიტები**: **ბანკის კოდი** TRESGE22
**სახელმწიფო ხაზინა**
**ანგ.№** GE24NB0330100200165022
**ს/კ** - 211358957

**მიმწოდებელი**

**შპს „ელსადენი 2015“**
**მისამართი:** ქ. თბილისი, აგლაძის ქ. ელიავას ბაზრ, აგრარული უბნის №20; **ტელ:** 599 55 37 29
**საბანკო რეკვიზიტები:** ბანკის კოდი:TBCBGE22 სს ,,თიბისი ბანკი’’
**ანგ.№:** GE71TB7438036080100002
**ს/კ**-405071504